

ტესტი სტუდენტების საბრანტო კონკურსისათვის

ტესტი შედგება სამი ნაწილისაგან:

1. წაკითხულის გააზრება – 21 ტესტური დავალება.
2. ლოგიკური მსჯელობა – 14 ტესტური დავალება.
3. რაოდენობრივი მსჯელობა – 7 ტესტური დავალება.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0, 2 ქულა (ანუ იწერება -0, 2 ქულა).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 42.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი და 35 წუთი. ტესტის ნაწილების შესრულების თანმიმდევრობას არა აქვს მნიშვნელობა.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

21 შეკითხვა

ტექსტი A (ნაწილი I)

I ძველი კულტურული სამყაროს ყოველ მნიშვნელოვან რეგიონში დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა თვალსაზრისი კაცობრიობის თავდაპირველი ენის, მისი დაყოფის, ენათა და ხალხთა ერთიანობისა და ხალხთა განსახლების შესახებ. ეს კონცეპტები მეტ-ნაკლებად მსგავსი იყო და მათგან არც ერთი არ მისულა ისტორიზმის პრინციპის აღიარებამდე: განსხვავებების მიუხედავად, თითოეული ამ კულტურათაგანი რელიგიური უნივერსალიზმით ხსნიდა ერთიანი საწყისისა და მრავალფეროვნების მიზეზს; უნივერსალიზმი და ისტორიზმი კი ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსებია და სადაც ერთია, იქ მეორისათვის ნაკლები „ადგილი” რჩება.

II საყოველთაო ისტორიის ეს კონცეპტები რელიგიური ისტორიოგრაფიის პროდუქტია და შექმნილია ახ. წ. I საუკუნის დასაწყისში, იუდაიზმისა და ქრისტიანობის საზღვარზე. ისინი მყარი კონცეფციის სახით დამკვიდრდა შუა საუკუნეების თითქმის ყველა საისტორიო ტრადიციაში და მოგვიანებით ისლამურ ისტორიოგრაფიაშიც აისახა. ეს იყო კონცეფცია თავდაპირველი ენისა და ხალხის, მისი დაყოფის და ხალხთა კანონზომიერი რეგიონული განსახლების შესახებ, საკრალურობამდე აყვანილი ეთნიკური ნიშნით. ყოველივე ეს კი სათავეს იღებდა „დაბადების” X წიგნიდან, სადაც აღწერილია ნოეს შთამომავალთა დედამიწაზე განსახლება. ყველა ის ხალხი, რომლებიც ამ უნივერსალურ წესრიგში, ანუ ისტორიის I შრეში მოხვდა, ე.წ. „წმინდა ისტორიის” (Historia Sancta) მონაწილე გახდა და ამით ერთგვარი დამცავი საკრალური „საბუთი” მოიპოვა საკუთარი ეთნიკური წარმომავლობისათვის, განსახლების საზღვრების, ტერიტორიის, მთების, მდინარეების, ზღვების, ქალაქებისა და კლიმატური ზონებისთვისაც კი. ამ განყოფის, განსახლების აღმწერ ტექსტებს „დიამერიზმები” ჰქვია.

III როგორც ცნობილია, ახ. წ. I საუკუნეში იუდაისტურმა ისტორიოგრაფიამ უნივერსალური წესრიგის ეს კონცეფცია ებრაელების განსაკუთრებულობის დასაცავად და მათი ისტორიის ლეგიტიმაციისათვის გამოიყენა. ამ მოვლენის საფუძველს ძალზე შორს მივყავართ, ეგვიპტური ისტორიის დასაწყისთან, უცხო დინასტიების, ენებისა და ხალხების სწრაფ ასიმილაციასთან, რასაც სემიტურ ხალხთაგან მხოლოდ ებრაელები ეწინააღმდეგებოდნენ, რომელთაც სრულიად გამორჩეულობის პრინციპს დაუკავშირეს საკუთარი ისტორიის დასაწყისი.

ტექსტის პირველი ნაწილის გაგრძელება ->

შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

IV თავისთავად ფაქტი, რომ ამგვარი – ე.წ. „მსოფლიო წესრიგის” მომცველი, უნივერსალური – ისტორია შეიქმნა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხები ისტორიზმის პრინციპის აღიარებამდე მივიდნენ. უნივერსალური ისტორიის ამ მოდელის მიხედვით, სამყაროს „ბედი” მისი შექმნისას უკვე გადაწყვეტილი იყო. მკვლევარ **ბორსტის** თქმით: „თვითონ სამყაროს შექმნა აღიქმებოდა, როგორც წინასწარი გეგმის მიხედვით განხორციელებული უკანასკნელი დიდი ცვლილება.” შესაბამისად, ისტორიოგრაფია განვითარების კანონზომიერებებს კი არ სწავლობდა, არამედ უკვე მომხდარი ამ დიდი ცვლილების ინტერპრეტაციით იყო დაკავებული და ლეგიტიმაციურ საფუძვლებს ეძიებდა ამა თუ იმ მოვლენისა თუ ხალხისთვის.

V როგორც ცნობილია, რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ, ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციით, მსოფლიო ხალხები ორ ნაწილად გაყო: ისტორიის ნამდვილ შვილებად – „წმინდა ისტორიის” მონაწილე 72 ხალხად და დანარჩენ სამყაროდ, რომელთაც თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის მოყვარე დასავლელი მეცნიერები „ისტორიის გერებს” უწოდებენ.

VI განყოფილის ტექსტებს, ანუ დიამერიზმებს, მეტ-ნაკლებად საერთო სტრუქტურა აქვს. ისინი შედგება რვა ძირითადი რუბრიკისაგან. დიამერიზმების შემცველი წყაროების უმეტესობა დაზიანებული სახითაა ჩვენამდე მოღწეული. მეცნიერებმა დიამერიზმების ტექსტის შესწავლისას ეს ნაკლები წყაროებიც გაითვალისწინეს. რა არის ეს ტექსტი? ეს არის უნივერსალური ისტორიის საკრალიზებული სქემა, ნუსხა, რომელშიც ყოველი ხალხი და ენა ბიბლიური გენეალოგიით არის ლეგიტიმირებული. მომდევნო ეპოქებში ამ „საყოველთაო წესრიგის” სტრუქტურის მიხედვით ხდებოდა ნებისმიერი დონის – რეგიონული, ნაციონალური, რელიგიური თუ სხვა – ერთობის თავდაპირველი ამბებისა და მისი განვითარების ისტორიის რეკონსტრუქცია. საყოველთაო ისტორიის ამ კონცეპტებს გვიანანტიკურობასა და შუა საუკუნეებში კონსტიტუციონალური ძალა ჰქონდა. I საუკუნიდან მოყოლებული, რაც უნივერსალური ისტორიის მოდელი ჩამოყალიბდა, ბიბლიური გენეალოგიის ხეზე ადგილის ქონა, ანუ „წმინდა ისტორიაში” მონაწილეობა იქცა როგორც იუდაისტური, ისე ქრისტიანული ტრადიციის ისტორიების ერთგვარ შესავლად, იმის დასტურად, რომ პირველი ნაბიჯი მათმა გენეტიკურმა წინაპარმა ისტორიის I შრიდან, ბაბილონის ნანგრევებიდან გადმოდგა. უნივერსალური ისტორიის ამ კონცეფციას ეყრდნობოდა ქართული ისტორიოგრაფიაც და ძველი სომხური საისტორიო მწერლობაც. საგულისხმოა, რომ დიამერიზმების სხვადასხვა რედაქცია ქართველური ტომების, ასევე, სამწერლობო და არასამწერლობო ქართველური ენების შესახებ არაერთ საინტერესო ცნობას შეიცავს.

შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

1. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით?
- (ა) ხალხთა და ენათა განყოფის ტექსტებს, ე.წ. დიამერიზმებს, სხვადასხვაგვარი სტრუქტურა და შედგენილობა აქვს.
 - (ბ) ე. წ. საყოველთაო წესრიგის სტრუქტურის მიხედვით თავდაპირველ მოვლენათა რეკონსტრუქცია შესაძლებელი იყო მხოლოდ რელიგიური ერთობის დონეზე.
 - (გ) ეგვიპტური ისტორიის საწყის ეტაპზე უცხო დინასტიების, ენებისა და ხალხების სწრაფ ასიმილაციას სემიტური ხალხები ერთად ეწინააღმდეგებოდნენ.
 - (დ) უნივერსალური ისტორიის კონცეპტები შედარებით მოგვიანებით ისლამურ ისტორიოგრაფიაშიც აისახა.
 - (ე) რელიგიურმა ისტორიოგრაფიამ, ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციით, მსოფლიო ხალხები თანაბარ პირობებში ჩააყენა.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

2. რა მიზნით იმოწმებს ტექსტში ავტორი მკვლევარ ბორსტის შეხედულებას?

იმისათვის, რათა

- (ა) კრიტიკულად განიხილოს მოსაზრება, რომ უნივერსალური ისტორიის კონცეპტის მიხედვით, სამყაროს ბედი მისი შექმნისას უკვე გადაწყვეტილი იყო.
- (ბ) ნათლად წარმოაჩინოს, რომ ამა თუ იმ მოვლენისა და ხალხისთვის ლეგიტიმაციური საფუძვლების გამოძებნა ისტორიოგრაფიის ფუნქცია იყო.
- (გ) მკაფიოდ ახსნას, თუ რატომ არ ნიშნავდა უნივერსალური ისტორიის შექმნა ისტორიზმის პრინციპის აღიარებას – განვითარების კანონზომიერებების შესწავლას.
- (დ) განმარტოს, თუ რას გულისხმობდა რელიგიური ისტორიოგრაფია ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციაში.
- (ე) დააზუსტოს, თუ რატომ იყო კრიტიკული დასავლელი მეცნიერების პოზიცია რელიგიური ისტორიოგრაფიის მიმართ.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

3. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება არ დასტურდება ტექსტის მიხედვით?
- (ა) იუდაისტური ისტორიოგრაფიის მიერ ებრაელთა ისტორიის უნივერსალური წესრიგის კონცეპტზე დაყრდნობით გააზრებას ხელი შეუწყო ხალხთა ასიმილაციის ტენდენციამ.
- (ბ) ძველი სამყაროს ყველა მნიშვნელოვანი რეგიონის კულტურაში ისტორიზმის პრინციპი ჩანაცვლებული იყო რელიგიური უნივერსალიზმით.
- (გ) I საუკუნიდან მოყოლებული, „წმინდა ისტორიაში“ უშუალო მონაწილეობა აისახებოდა როგორც იუდაისტური, ისე ქრისტიანული ტრადიციის ისტორიათა შესავალში.
- (დ) ე.წ. „წმინდა ისტორიის“ მონაწილე ყოველი ხალხისათვის ბიბლიური გენეალოგიის ხე საკუთარი ისტორიის ლეგიტიმაციის საფუძველსაც წარმოადგენდა.
- (ე) ე. წ. უნივერსალური ისტორიის თავდაპირველი კონცეპტი შექმნილია საკუთრივ იუდაიზმის რელიგიურ ისტორიოგრაფიაში ახ. წ. I საუკუნის დამდეგს.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

4. რა მიმართებაა ტექსტის I და IV აბზაცებს შორის?

IV აბზაცში

- (ა) ეჭვის ქვეშ დაყენებულია I აბზაცში გამოთქმული მოსაზრება ძველ კულტურათა კონცეპტების მსგავსების შესახებ.
- (ბ) დაზუსტებულია, თუ რა იგულისხმება I აბზაცში წარმოდგენილ მოსაზრებაში – საწყისისა და მრავალფეროვნების რელიგიური უნივერსალიზმით ახსნის შესახებ.
- (გ) კრიტიკულად განხილულია I აბზაცში გამოთქმული აზრი, რომ ისტორიზმის პრინციპს არ შეიცავს არც ერთი ძველი კულტურის კონცეპტი.
- (დ) განმარტებულია, თუ რომელ ხალხებს გულისხმობს ავტორი I აბზაცში ნახსენებ ძველი კულტურული სამყაროს მნიშვნელოვან რეგიონებში.
- (ე) წარმოდგენილია მკვლევართა შეფასებები ხალხთა ერთიანობისა და განსახლების შესახებ I აბზაცში ზოგადად აღნიშნული თვალსაზრისების თაობაზე.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

5. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?
- I. რელიგიურ ისტორიოგრაფიას ხალხთა ისტორიის დასაწყისი აინტერესებს არა როგორც განვითარების საწყისი, არამედ როგორც დადგენილი ნორმა.
 - II. პირველი საუკუნიდან, უნივერსალური წესრიგის მოდელის ჩამოყალიბების შემდგომ, „წმინდა ისტორიაში” მონაწილეობა ამა თუ იმ ხალხის განსაკუთრებულობის საბუთად იქცა.
 - III. საყოველთაო ისტორიის კონცეპტებს შუა საუკუნეებში, განსხვავებით წინა ეპოქებისაგან, კონსტიტუციონალური ძალა აღარ ჰქონდა.
- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ III
- (გ) მხოლოდ I და II
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) I, II და III

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

6. ტექსტის მიხედვით, შესაძლებელია ითქვას, რომ დიამერიზმები
- I. რელიგიური ისტორიოგრაფიის პროდუქტია.
 - II. სემიტურ ხალხთაგან მხოლოდ ებრაელებმა სცნეს კანონის ნორმად.
 - III. ხალხთა ლეგიტიმურობას ბიბლიური გენეალოგიის მიხედვით განსაზღვრავს.
 - IV. უცნობი იყო ძველი სომხური საისტორიო მწერლობისათვის.

ამათგან მართებულია:

- (ა) მხოლოდ I და II
- (ბ) მხოლოდ I და III
- (გ) მხოლოდ II და IV
- (დ) მხოლოდ III და IV
- (ე) მხოლოდ I, II და III

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

7. ჩამოთვლილთაგან რომელი არ ასახავს მართებულად ტექსტში წარმოდგენილ ინფორმაციას?
- (ა) ძველი სამყაროსეული უნივერსალური ისტორიის კონცეპტები შუა საუკუნეების თითქმის ყველა საისტორიო ტრადიციაში გავრცელდა.
 - (ბ) ბაბილონისდროინდელი ამბების ინტერპრეტაციის საფუძველზე დადგინდა იმ ხალხთა რაოდენობა, რომლებიც ისტორიის I შრეში მოხვდნენ.
 - (გ) ე. წ. დიამერიზმები რვა რუბრიკისაგან შედგება და უნივერსალური ისტორიის საკრალიზებულ სქემას წარმოადგენს.
 - (დ) ჩვენამდე არ მოუღწევია დიამერიზმების შემცველ ისეთ წყაროს, რომელშიც დასტურდება ყველა ძირითადი რუბრიკა.
 - (ე) ხალხთა დაყოფა და კანონზომიერი რეგიონული განსახლება სათავეს იღებს „დაბადების” მეათე წიგნიდან.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

ტექსტი A (ნაწილი II)

I ადსანიშნავია, რომ ქართული საისტორიო მწერლობის სისტემატიზატორმა, XI საუკუნის ისტორიკოსმა – ლეონტი მროველმა თავის თხზულებაში წარსულს მოხერხებულად „მოარგო“ რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული კონცეფცია და ეტაპებად დაყო ქართველთა „ნათესავის“ ისტორია.

II ქართველთა ისტორიის შესავალში მროველი თავდაპირველად აღადგენს საწყისი მოვლენების ფართო კონტექსტს, კერძოდ, აღწერს, როგორ გამოეყო ბიბლიური წარმომავლობის ჩვენი წინაპარი „საყოველთაო ისტორიას“. ჩვენი ისტორია, ამბობს მროველი, საყოველთაო ისტორიის განუყოფელი ნაწილია: თარგამოსი, იაფეტის ძმისწული და ნოეს შვილიშვილი, ბაბილონის ამბების უშუალო მონაწილეა; გოდოლის დანგრევისა და ენათა განყოფის შემდეგ იგი წამოვიდა და თავისი „ნათესავითურთ“ დამკვიდრდა ორ მთას, არარატსა და მასისს, შორის... უნივერსალურის შემდეგ კი ისტორიკოსი აღადგენს მომდევნო, შედარებით ვიწრო კონტექსტს, ანუ აღწერს საერთო გენეტიკური წინაპრის შვილთა და შვილიშვილთა განსახლებას და „ყოფას“ დიდი რეგიონის მასშტაბით; თარგამოსის შთამომავალთა შორის რვა გმირია, მათ შორის არის ჩვენი წინაპარი ქართლოსი, ხოლო ჰეგემონია ჰაოსს ეკუთვნის... დაბოლოს, ლეონტი მროველი აღადგენს უშუალოდ ნაციონალური ისტორიის დასაწყისს, ანუ ქართველთა წინაპრის „ყოფას“ ნაციონალური ერთობის პერიოდში, რომლის საყრდენი ახალი ელემენტია საერთო ქართული ენა, ძველ ელემენტთან – საერთო ეთნიკურ წარმომავლობასთან – ერთად.

III შევნიშნავთ, რომ რელიგიური ისტორიოგრაფიის მოდელის გათვალისწინებით, გამოიყოფა სამი დონე, რომლებზეც ხდება ქართველთა ისტორიის, როგორც ბიბლიური საკრალიზებული ისტორიის ორგანული ნაწილის, გააზრება, შესაბამისად, მისი ლეგიტიმაცია. ვფიქრობ, საამისოდ სჭირდება ლეონტი მროველს, ისევე როგორც სხვა ტრადიციების რელიგიური ისტორიოგრაფიის ავტორებს, „დააფიქსიროს“ თავისი წინაპარი, მისი ისტორიული ყოფა, ამ სამ სხვადასხვა დონეზე: 1) ადამიანთა საყოველთაო ერთობაში, ანუ უნივერსალური ისტორიის დონეზე; 2) საერთო ეთნიკური ნიშნით ფორმირებულ ერთობაში, ანუ რეგიონული ისტორიის დონეზე; 3) საერთო ეთნიკური და ენობრივი ნიშნით ფორმირებულ ერთობაში, ანუ ნაციონალური ისტორიის დონეზე.

ტექსტის მეორე ნაწილის გაგრძელება ->

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

IV

მკვლევარი **ბოედერი** ლეონტი მროველთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: „იგი (ე. ი. მროველი) თავის ქრონიკაში საქართველოს ისტორიის ერთ არსებით მომენტს ეხება, კერძოდ, ენის, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის სიმბოლოს, არსებით როლს. ერთიანი ქართული სახელმწიფო როგორც ეთნიკური, ისე ენობრივი თვალსაზრისით შედეგია ისტორიული პროცესისა, რომელიც სამ ეტაპად მიმდინარეობს: ჯერ ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი ერთობა, მერე ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი განყოფა, დაბოლოს, ახალი ტომობრივი, ტერიტორიული და ენობრივი ერთობის შექმნა, კერძოდ, ქართლისა და მისი ენისა” (ვ. ბოედერი, ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში, 1998წ.).

V

მეცნიერთა მიერ დადგენილია ისიც, რომ ლეონტი მროველი თავის თხზულებაში დიამერიზმების სირიულ რედაქციებს ეყრდნობა.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

8. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის ამ ნაწილის მიხედვით?
- I. XI საუკუნეში მოღვაწე ისტორიკოსმა, ლეონტი მროველმა, მისგან დიდი ხნით დაშორებულ ქართველთა „ნათესავის” ისტორიას რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული კონცეფცია მიუსადაგა.
 - II. ლეონტი მროველის ქრონიკაში ქართველთა ისტორიის საწყისი მოვლენების ფართო კონტექსტი მოიცავს ქართლოსის შთამომავალთა განსახლებას დიდი რეგიონის მასშტაბით.
 - III. ლეონტი მროველი ქართველთა ისტორიას ბიბლიური საკრალიზებული ისტორიის განუყოფელ ნაწილად წარმოაჩენს და ამით მის ლეგიტიმურობას ასაბუთებს.
- (ა) მხოლოდ I და II
 - (ბ) მხოლოდ II
 - (გ) მხოლოდ I და III
 - (დ) მხოლოდ III
 - (ე) მხოლოდ II და III

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

9. ავტორი ჯერ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს, შემდეგ კი მკვლევარ ბოედერის აზრს წარმოადგენს.

ტექსტის მიხედვით, რომელი ასახავს მართებულად ბოედერისა და საკუთრივ ავტორის შეფასებებს შორის მიმართებას?

- I. ავტორისაგან განსხვავებით, ბოედერი ლეონტი მროველის ქრონიკაში საერთო ნაციონალური ენის როლის შესახებაც საუბრობს.
 - II. როგორც ბოედერი, ისე ავტორიც აღნიშნავს, რომ ლეონტი მროველის მიერ აღდგენილი ისტორიული პროცესი სამ სხვადასხვა ეტაპს მოიცავს.
 - III. ბოედერისაგან განსხვავებით, ავტორი მიუთითებს მოტივს, თუ რატომ დაეყრდნო ლეონტი მროველი რელიგიური ისტორიოგრაფიის კონცეფციას.
- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ I და II
- (გ) მხოლოდ I და III
- (დ) მხოლოდ II და III
- (ე) მხოლოდ III

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

10. იპოვეთ ფრაზის მართებული გაგრძელება:
- ლეონტი მროველის ქრონიკის მიხედვით, უშუალოდ ნაციონალური ისტორიის დასაწყისში ერთობის მთავარი საყრდენი ელემენტი
- (ა) ჯერ ისევ მხოლოდ საერთო ეთნიკური წარმომავლობა იყო.
 - (ბ) მხოლოდ საერთო ნაციონალური ენა გახდა.
 - (გ) იყო როგორც საერთო ეთნიკური წარმომავლობა, ისე ნაციონალური ენაც.
 - (დ) გახდა ტომობრივი ერთობაც, ძველ ელემენტებთან ერთად.
 - (ე) ისევ საერთო ნაციონალური ენა და ტერიტორიული ერთობა იყო.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

11. ქვემოთ ჩამოთვლილ მოსაზრებათაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტის ამ ნაწილიდან?
- (ა) ქართველთა წარმომავლობის დადგენის საკითხი დაკავშირებულია დიამერიზმების წყაროთა შესწავლასთან.
 - (ბ) სახელმწიფოს ფორმირება ისტორიული პროცესია და მას განვითარების ეტაპები ახასიათებს.
 - (გ) საერთო ნაციონალური ენა სახელმწიფოს სუვერენიტეტის არსებითი სიმბოლოა.
 - (დ) თარგამოსის შთამომავალთა – შვილთა და შვილიშვილთა – განსახლების ფართო არეალში უშუალოდ ქართველთა წინაპარს ჰეგემონია არ ეკუთვნოდა.
 - (ე) საყოველთაო ისტორიის საწყისი მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველად ახალი ტომობრივი ერთობა ქართველურმა ტომებმა შექმნეს.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

შეკითხვებს 12 – 14 უპასუხეთ მთლიანი ტექსტის მიხედვით:

12. მთლიანი ტექსტის გათვალისწინებით, ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს უფრო ზუსტად და მართებულად ავტორის მთავარ მიზანს?

(ა) შეადაროს ერთმანეთს ძველი კულტურული სამყაროს სხვადასხვა ხალხთა კონცეპტები თავდაპირველი ენისა და მისი დაყოფის შესახებ.

(ბ) აღწეროს ხალხთა და ენათა განყოფის ტექსტების, ე. წ. დიამერიზმების, სტრუქტურა და გაგვაცნოს მათი როლი იუდაისტურ ისტორიოგრაფიასა და ქართულ საისტორიო მწერლობაში.

(გ) წარმოაჩინოს ფაქტი, რომ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ისევე როგორც საზოგადოდ ქრისტიანული სამყაროს ძველი ისტორიები, რელიგიურ ისტორიოგრაფიას ეყრდნობოდა.

(დ) გაგვაცნოს რელიგიურ ისტორიოგრაფიაში ჩამოყალიბებული უნივერსალური ისტორიის მოდელი სხვადასხვა ხალხთა საისტორიო მწერლობის მაგალითებზე დაყრდნობით.

(ე) მოგვაწოდოს არსებითი ცნობები უნივერსალური წესრიგის კონცეფციის შესახებ და წარმოაჩინოს, რა უდევს საფუძვლად ლეონტი მროველის მიერ თავდაპირველი ისტორიის რეკონსტრუირებას.

<i>ტექსტი A ნაწილი 1</i>	<i>შეკითხვა 1</i>	<i>შეკითხვა 2</i>	<i>შეკითხვა 3</i>	<i>შეკითხვა 4</i>	<i>შეკითხვა 5</i>	<i>შეკითხვა 6</i>	<i>შეკითხვა 7</i>
<i>ტექსტი A ნაწილი 2</i>	<i>შეკითხვა 8</i>	<i>შეკითხვა 9</i>	<i>შეკითხვა 10</i>	<i>შეკითხვა 11</i>	<i>შეკითხვა 12</i>	<i>შეკითხვა 13</i>	<i>შეკითხვა 14</i>

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი თვალსაზრისი არ გამომდინარეობს ტექსტის არც ერთი ნაწილიდან?

- (ა) დიამერიზმების ჩვენამდე მოღწეულ სხვადასხვა რედაქციაში დასტურდება ცნობები ქართველური ტომების შესახებ.
- (ბ) დიამერიზმები მეცნიერთათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სამწერლობო და არასამწერლობო ქართველურ ენათა ისტორიის შესასწავლად.
- (გ) დიამერიზმების წყაროთა უმეტესობა ჩვენამდე დაზიანებული სახითაა მოღწეული, თუმცა მეცნიერებმა ტექსტის დადგენისას ეს ნაკლები რედაქციები შეძლებისდაგვარად მაინც გაითვალისწინეს.
- (დ) ლეონტი მროველის ქრონიკის მიხედვით, ნაციონალური ისტორიის დასაწყისში ერთობის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ელემენტი საერთო ეთნიკური წარმომავლობა იყო.
- (ე) ლეონტი მროველმა, განსხვავებით რელიგიური ისტორიოგრაფიის სხვა ავტორთაგან, უნივერსალური ისტორიის კონცეფცია ნაციონალური ისტორიის დასაწყისს დაუკავშირა.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

14. ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტის I და II ნაწილების ერთმანეთთან დამაკავშირებელი, საერთო საკითხი?

- (ა) დადგინდეს ძველი კულტურული სამყაროს მნიშვნელოვანი რეგიონების ნუსხა.
- (ბ) გამოიკვეთოს, რომ ე.წ. უნივერსალური ისტორიის როლი იუდაისტურსა და ქრისტიანულ ისტორიოგრაფიებში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია.
- (გ) განიმარტოს უნივერსალიზმსა და ისტორიზმს შორის არსებული განსხვავება.
- (დ) წარმოჩინდეს, რომ რელიგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული კონცეფცია მომდევნო ეპოქებში ისტორიათა ერთგვარ შესავლად იქცა.
- (ე) გამოვლინდეს უშუალოდ ენათა განყოფის ბიბლიური ამბის მიმართ ინტერესის გაღრმავება XI საუკუნის მსოფლიოს ისტორიოგრაფიაში.

ტექსტი A ნაწილი 1	შეკითხვა 1	შეკითხვა 2	შეკითხვა 3	შეკითხვა 4	შეკითხვა 5	შეკითხვა 6	შეკითხვა 7
ტექსტი A ნაწილი 2	შეკითხვა 8	შეკითხვა 9	შეკითხვა 10	შეკითხვა 11	შეკითხვა 12	შეკითხვა 13	შეკითხვა 14

ტექსტი B

დემოკრატიზაციასთან დაკავშირებულმა ენთუზიაზმმა, რომელიც დემოკრატიის გავრცელების ე. წ. მესამე ტალღის პიკის ხანაში – 1980-იანი წლების დასაწყისში შეინიშნებოდა, 90-იანი წლების II ნახევარში კონტრრეაქცია გამოიწვია. აღინიშნა, რომ გლობალური დემოკრატიზაცია „უფრო მეტი ოდენობით იქნა მიწოდებული“, ვიდრე მასზე მოთხოვნილება იყო. პრობლემის გააზრებას მოჰყვა პოლიტიკურ ექსპერტთა დამაჯერებელი სტატიების წყება, რომლებიც პესიმისტურ ხედვას შეიცავდა. მაგალითად, **ფარიდ ზაქარია** შემფოთებული იყო ახლად არჩეული ლიდერების სახიფათო ქმედებებით, რომლებიც, „პერუდან და არგენტინიდან მოყოლებული ფილიპინებსა და ყაზახეთამდე, ზღუდავდნენ ადამიანთა უფლებებს და ძალაუფლებას ბოროტად იყენებდნენ.“ სწორედ ამან ათქმევინა მას, რომ „სწრაფი დემოკრატიზაცია არალიბერალური დემოკრატიის შავ ჭირს ავრცელებდა.“ ყოფილი იუგოსლავიის მაგალითსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული სისხლიანი კონფლიქტების გამო შემფოთებული **ედვარდ მენსფილდი** და **ჯეკ სნაიდერი** კი ირწმუნებოდნენ, რომ „დემოკრატიის რელსებზე გარდამავალი ქვეყნები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი კონფლიქტებისადმი, ვიდრე სტაბილურად ავტოკრატიული სახელმწიფოები.“ აზიის სხვადასხვა ნაწილში გაჩაღებული ეთნოკონფლიქტებისა და მათი მიზეზების შესახებ კი წერდა **ემი ჩუა**.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავდება ფოკუსის არეალები და ანალიტიკური ჩარჩოები, აქ დამოწმებულ ექსპერტთა მოსაზრებები ერთი ცენტრალური არგუმენტის გარშემო ერთიანდება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს – *თანამიმდევრობის მოთხოვნა*. ამ მოთხოვნის მიხედვით, ვიდრე საზოგადოების დემოკრატიზაცია დაიწყება, უკვე უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, უპირველეს ყოვლისა კი, კანონის უზენაესობა და კარგად ქმედითი სახელმწიფო აპარატი. ექსპერტთა აზრით, აშშ-მ და ზოგადად დასავლეთმა უნდა გადახედოს თავის მიდგომასა და ვალდებულებას დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით; როდესაც გარე აქტორებს სურთ, ხელი შეუწყონ არადემოკრატიულ საზოგადოებაში პოზიტიურ პოლიტიკურ ცვლილებას, ისინი უნდა დაეხმარონ იმით, რომ ასწავლონ მათ კანონის უზენაესობა და სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირება. მხოლოდ ამ წინაპირობების შემდეგ შეიძლება არჩევნების, პლებისციტების ჩატარება. ექსპერტთა ჯგუფს, რომელთაც ამგვარი პოზიცია აქვთ, ანუ თანამიმდევრული, წინარე საფეხურების მომხრენი არიან, *სეკვენციალისტებს* უწოდებენ.

ტექსტის გაგრძელება ->

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

დემოკრატიული სეკვენციალიზმის არსი მკაფიოდ ჩანს რობერტ კაპლანის გახმაურებულ ნაშრომშიც. ის ირწმუნება, რომ სწორედ თანმიმდევრული ეტაპებით არის შესაძლებელი წარმატების მიღწევა, მხოლოდ „კანონებისა და ინსტიტუციების მჭიდროდ ნაშენებ გალიაში თუ მოაქცევ ახლად აღზევებული მასებისა და ახლად არჩეული ლიდერების ფეთქებად, წინასწარ გამოუცნობ ქმედებებს.“ პოსტ-სადამურ ერაყში დემოკრატიის შენების არცთუ წარმატებულ მცდელობას სეკვენციალისტები აღიქვამენ როგორც კიდევ ერთ მაგალითს იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს „წინაპირობების გარეშე“ დემოკრატიის დაჩქარებულ დანერგვას. პატივს მიაგებენ რა კანონის უზენაესობას, სეკვენციალისტები ამოდიან უპირობო დაშვებიდან, რომ ავტოკრატები, ყოველ შემთხვევაში, ლიბერალები, რომლებზედაც აქვთ გათვლა, თავს არ დაზოგავენ რეფორმების გასატარებლად, რადგან, ერთი მხრივ, ინსტინქტურად არიან რეფორმებისადმი მიდრეკილნი, მეორე მხრივ კი, მათ ამას ეკონომიკური განვითარება უკარნახებთ. მოქალაქეთა საკეთილდღეოდ, ისინი შეეცდებიან კანონის უზენაესობის გამყარებას, რაც ეკონომიკური პროგრესისთვის აუცილებელია.

ექსპერტ თომას ქაროდერზის აზრით კი, სამწუხაროდ, რეალობა სხვაგვარია: სეკვენციალისტების დაჟინებული მოლოდინის მიუხედავად, ერთი-ორი ავტოკრატი თუ არის „გასხივოსნებული“; უხეშად რომ ვთქვათ, ყოველ სინგაპურის ლი კვან იუ-ზე ათობით და ასობით ხარბი, რეპრესიული ავტოკრატი მოდის. ბევრი ავტოკრატიული რეჟიმი სულაც არ არის დაინტერესებული ეკონომიკური განვითარებითა და მოქალაქეთა კეთილდღეობით. შესაბამისად, სეკვენციის იდეა ორნაწილიან მცდარ წინაპირობას ემყარება. თუმცა, გარკვეული გამოფხიზლების ფუნქცია მაინც ჰქონდა ამ იდეას.

სეკვენციისაგან არსებითად განსხვავდება დემოკრატიის გავრცელების სხვა გზა – ე. წ. გრადუალური მიდგომა; დემოკრატიული გრადუალიზმის მიხედვით, არ შეიძლება ათწლეულობით ან გაურკვეველი ვადით გადაიდოს ის, რაც დემოკრატიის გულისგულია – პოლიტიკური შეჯიბრისა და არჩევანის სამართლიანი და ღია პროცესების განვითარება. ეს პოზიცია გულისხმობს ამ პრინციპის თავიდანვე გამოყენებას, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ ნაბიჯ-ნაბიჯ. სწორედ დემოკრატიის არარსებობა წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას კანონის უზენაესობის განვითარების გზაზე. ქაროდერზი და ჯოელ მიგდალი გრადუალური მიდგომის მომხრენი არიან.

განსხვავება მართლაც ფუნდამენტურია: გრადუალიზმი დემოკრატიული შესაძლებლობების რწმენას ემყარება. სეკვენციალიზმი კი არის დემოკრატიის გაურკვეველ დრომდე გადადების მეთოდი, რომელსაც დემოკრატიზაციის შანსების მიმართ სკეპტიციზმი ასაზრდოებს.

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

15. ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება ყველაზე მეტად ტექსტს სათაურად?

- (ა) ექსპერტები დემოკრატიის შესახებ
- (ბ) დემოკრატიზაციის მესამე ტალღა
- (გ) სეკვენციალიზმი და გრადუალიზმი
- (დ) ქაროდერზი კაპლანის წინააღმდეგ
- (ე) გარე აქტორების როლი დემოკრატიზაციაში

ტექსტი B	<u>შეკითხვა 15</u>	<u>შეკითხვა 16</u>	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	--------------------	--------------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

16. გაეცანით ციტატას ანალიტიკური სტატიიდან:

„მკვეთრი ეკონომიკური პროგრესი შესაძლებელია კანონის უზენაესობის პროგრესის გარეშეც; ამის მაგალითს ჩინეთი და ვიეტნამი წარმოადგენენ. ამ სახელმწიფოებს არ გაუზიარებიათ კანონის უზენაესობის მნიშვნელოვანი პრინციპები, თუმცა, მოსახლეობის დიდ ნაწილში დაძლიეს სილატაკე.“

ტექსტის მიხედვით, ეს მოსაზრება

- (ა) საკმარისი არგუმენტია დემოკრატიის განვითარებასთან აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სწორი მიდგომის დასასაბუთებლად.
- (ბ) ე. წ. გრადუალური მიდგომის წარმატებულობის მაგალითია.
- (გ) ასაბუთებს დემოკრატიზაციის მესამე ტალღის წარმატებულობას.
- (დ) წარმოაჩენს სეკვენციალისტთა უპირობო დაშვების სიმცდარეს.
- (ე) ააშკარავებს დემოკრატიზაციის შანსების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულების სიმცდარეს.

17. „ილუზიურია აზრი, რომ ავტოკრატები ბუნებით სახელმწიფო აპარატის მშენებლები არიან, რომელთაც ამოძრავებთ სახელმწიფოს შენების ეთოსი, მსგავსად ათათურქისა და ბისმარკისა.“

ვინ გამოთქვამს ტექსტში მსგავს, ანალოგიურ მოსაზრებას?

- (ა) ფარიდ ზაქარია
- (ბ) ედვარდ მენსფილდი და ჯეკ სნაიდერი
- (გ) ემი ჩუა
- (დ) რობერტ კაპლანი
- (ე) თომას ქაროდერზი

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

18. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მოსაზრებას არ იზიარებენ სეკვენციის იდეის მომხრეები?
- (ა) ვიდრე საზოგადოების დემოკრატიზაცია დაიწყება, ქვეყანაში უკვე უნდა არსებობდეს კარგად ქმედითი სახელმწიფო აპარატი.
 - (ბ) ქვეყნის დემოკრატიზაციას წინ უნდა უსწრებდეს გარკვეული წინაპირობები, უპირველეს ყოვლისა კი, კანონის უზენაესობა.
 - (გ) ავტოკრატიულ სახელმწიფოში ლიბერალები თავს არ დაზოგავენ რეფორმების გასატარებლად, რადგან ინსტიტუტურად არიან მიდრეკილნი რეფორმებისადმი.
 - (დ) დემოკრატიის არარსებობა გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენს კანონის უზენაესობის განვითარების გზაზე.
 - (ე) ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისთვის აუცილებელი წინაპირობაა კანონის უზენაესობის გამყარება.

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

19. რა მიზნით იმოწმებს ქაროდერზი ლი კვან იუ-ს მაგალითს?

- (ა) იმის დასასაბუთებლად, რომ, როგორც წესი, ავტოკრატიული რეჟიმი დაინტერესებულია ეკონომიკური განვითარებით.
- (ბ) იმ აზრის შესაქმნელად, რომ სეკვენციალისტთა მიერ გამოკვეთილი წინაპირობები გამონაკლისებს ემყარება.
- (გ) მსგავსების ხაზგასასმელად პოსტ-სადამურ ერაყში დემოკრატიის შენების წარუმატებელ მცდელობასთან.
- (დ) იმის საილუსტრაციოდ, რომ გარკვეული გამოფხიზლების ფუნქცია უთუოდ ჰქონდა სეკვენციის იდეას.
- (ე) იმ მოსაზრების დასაცავად, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა ავტოკრატიული სახელმწიფოს გეგმებშიც შედის.

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-----------------------------	-----------------------------	-----------------------------	-----------------------------	-----------------------------	-----------------------------	-----------------------------

20. ტექსტის მიხედვით, რა ახასიათებს გრადუალიზმს?
- I. პოლიტიკური შეჯიბრის აუცილებლობის აღიარება;
 - II. ავტოკრატიული რეჟიმის ეკონომიკური განვითარებით დაინტერესების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება;
 - III. დემოკრატიის განვითარების ხელსაყრელ მომენტამდე გადადების მოთხოვნა.
- (ა) მხოლოდ I
 - (ბ) მხოლოდ II
 - (გ) მხოლოდ III
 - (დ) მხოლოდ I და II
 - (ე) მხოლოდ II და III

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

21. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მართებული ტექსტის მიხედვით?

- (ა) გრადუალიზმის იდეა, უპირველეს ყოვლისა, დემოკრატიული პრინციპების სრულად და მყისიერად დანერგვას გულისხმობს.
- (ბ) ჯოელ მიგდალი, ისევე როგორც ემი ჩუა, მხარს უჭერს სეკვენციალიზმის იდეას თანამიმდევრობის დაცვის აუცილებლობის შესახებ.
- (გ) განსხვავება გრადუალიზმსა და სეკვენციალიზმს შორის დემოკრატიული შესაძლებლობების მიმართ რწმენასა და სკეპტიციზმს ეფუძნება.
- (დ) სეკვენციალისტებისაგან განსხვავებით, გრადუალიზმის მომხრეები აღიარებენ და პატივს მიაგებენ კანონის უზენაესობას.
- (ე) ექსპერტ ფარიდ ზაქარიას ახლად არჩეული ლიდერების ქმედებებით შემოფოთება, საბოლოოდ, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ტექსტი B	შეკითხვა 15	შეკითხვა 16	შეკითხვა 17	შეკითხვა 18	შეკითხვა 19	შეკითხვა 20	შეკითხვა 21
----------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------	-------------

ლოგიკური მსჯელობა

14 ამოცანა

ამოცანა 22.

მოცემულია წინადადება, რომელიც ასახავს გამოცდის შედეგებს:

„თითოეულმა სტუდენტმა ყველა დავალებას გასცა პასუხი, თუმცა არცერთ სტუდენტს არ ჰქონდა ყველა დავალებაზე სწორი პასუხი გაცემული.“

ამ გამოცდის შესახებ ქვემოთ გამოთქმული რომელი ფაქტი ეწინააღმდეგება მოცემულ პირობას?

- (ა) ერთი დავალება მაინც იყო ისეთი, რომელზეც ყველა სტუდენტს სწორი პასუხი ჰქონდა გაცემული.
- (ბ) ერთი სტუდენტი იყო ისეთი, რომელმაც ყველა დანარჩენზე მეტ დავალებას გასცა სწორი პასუხი.
- (გ) არცერთი დავალება არ იყო ისეთი, რომელზეც ყველა სტუდენტს სწორი პასუხი ჰქონდა გაცემული.
- (დ) რამდენიმე სტუდენტი იყო ისეთი, რომელსაც არცერთ დავალებაზე არ ჰქონდა არასწორი პასუხი გაცემული.
- (ე) არცერთი სტუდენტი არ იყო ისეთი, რომელსაც არცერთ დავალებაზე არ ჰქონდა გაცემული სწორი პასუხი.

ამოცანა 23.

ფრიდონი გაოცდა, როცა შეიტყო, რომ ფინურ ენაზე სიტყვა „დედა“ წარმოითქმის, როგორც „ააიტი“. მისი აზრით, უცნაურია ის ფაქტი, რომ ამ სიტყვაში ურევია ბგერა „ტ“, ერთ-ერთი ისეთი ბგერა, რომლის გამოთქმასაც ჩვილები სხვა ბგერებზე უფრო ძნელად სწავლობენ.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამოკვეთს ყველაზე მეტად ფრიდონის გაოცების მიზეზს?

- (ა) ადამიანის მიერ წარმოთქმული ერთ-ერთი პირველი სიტყვათაგანი არის მის მშობლიურ ენაზე ნათქვამი „დედა“.
- (ბ) ფინელი ჩვილები უფრო ადვილად გამოთქვამენ „ტ“ ბგერას, ვიდრე სხვა ეროვნების ბავშვები.
- (გ) მრავალ ენაში სიტყვა „დედა“ ერთმანეთის მსგავსად წარმოითქმის და, ძირითადად, „მ“ და „ა“ ბგერებს შეიცავს.
- (დ) ფრიდონი ხშირად ინტერესდება ენების ფონეტიკური თავისებურებებით.
- (ე) ფინურ ენაში „ტ“ ბგერა ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ბგერაა.

ამოცანა 24.

მოცემულია:

- ექსცენტრული ადამიანების უმრავლესობა აღწევს წარმატებას.
- ზოგიერთი ადამიანი, რომელიც აღწევს წარმატებას, არ არის ექსცენტრული.
- ყველა, ვინც წარმატებას აღწევს, პედანტია.

ჩამოთვლილთაგან რომელი **გამომდინარეობს** ამ მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი არაექსცენტრული ადამიანი აღწევს წარმატებას, თუმცა ისინი არ არიან პედანტები.
- (ბ) ყველა პედანტი ადამიანი აღწევს წარმატებას.
- (გ) ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ვერ აღწევს წარმატებას, არ არის ექსცენტრული.
- (დ) პედანტი ადამიანების უმრავლესობა არის ექსცენტრული.
- (ე) ზოგიერთი ადამიანი პედანტი და ექსცენტრულია.

ამოცანა 25.

კვაჭი მუდამ სიცრუეს ამბობს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, დანარჩენ დღეებში კი ყოველთვის სიმართლეს ამბობს.

ერთ დღეს მან თქვა:

„დღეს პარასკევია.“

„ხვალ სამშაბათია.“

კვირის რომელ დღეს თქვა კვაჭიმ ეს წინადადებები?

(ა) ორშაბათს

(ბ) სამშაბათს

(გ) ოთხშაბათს

(დ) ხუთშაბათს

(ე) პარასკევს

ამოცანა 26.

ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან რომელი არ არის დანარჩენი ოთხიდან არცერთის ტოლფასი?

- (ა) ტყუილია, რომ ინფრასტრუქტურასა და ტურიზმს შორის ერთი მაინც არ არის განვითარებული.
- (ბ) ინფრასტრუქტურაც და ტურიზმიც განვითარებულია.
- (გ) თუ ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, მაშინ ტურიზმიც არ არის განვითარებული.
- (დ) ტურიზმი მხოლოდ მაშინ არის განვითარებული, როცა ინფრასტრუქტურაა განვითარებული.
- (ე) თუ ტურიზმი არ არის განვითარებული, მაშინ ინფრასტრუქტურა განვითარებულია.

ამოცანა 27.

ია, ვაჟა, ოთარი, არჩილი, ანანო და ვანო ჯგუფელები არიან. მათ შესახებ ცნობილია, რომ:

- თუკი ერთი მათგანის სახელი იმავე ასოზე მთავრდება, რომლითაც იწყება მეორის სახელი, მაშინ პირველი მეორეზე დაბალი არაა.

მათგან მაქსიმუმ რამდენზე შეიძლება დანამდვილებით იმის თქმა, რომ ისინი ერთი და იმავე სიმაღლის არიან?

(ა) 2-ზე

(ბ) 3-ზე

(გ) 4-ზე

(დ) 5-ზე

(ე) 6-ზე

ამოცანა 28.

მეცნიერთა ჯგუფმა დაადგინა, რომ მიკროორგანიზმი მუზმუზელა ზრდის თუკოზიმების კონცენტრაციას ნეოფაგორებში, რითაც საფრთხეს უქმნის მიგიონების პოპულაციას. იგივე მეცნიერები ეწინააღმდეგებიან მიგიონების გადასარჩენად ნეოფაგორებში მუზმუზელების გასაქრობ ღონისძიებებს, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს უფრო მეტ საფრთხეს შეუქმნის მიგიონების პოპულაციას.

მოყვანილი ფაქტებიდან რომელი უფრო გამოდგება იმისათვის, რომ გააქარწყლოს შთაბეჭდილება მეცნიერთა მოსაზრებების წინააღმდეგობრიობის შესახებ?

- (ა) მუზმუზელების ნეოფაგორებიდან გაქრობა მხოლოდ დროებითია და ისინი კვლავ გაჩნდებიან.
- (ბ) თუკოზიმები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მიგიონებისათვის. მათი რაოდენობა ნეოფაგორებში მუზმუზელების რაოდენობის პროპორციულია.
- (გ) აღნიშნული ღონისძიებები გულისხმობს მუზმუზელების გამოყვანას ნეოფაგორებიდან ტრიომების საშუალებით. ტრიომები, როგორც ცნობილია, უმნიშვნელოდ ზრდის თუკოზიმების კონცენტრაციას.
- (დ) მიკროორგანიზმები ბრატელა და სინდერელა გაცილებით დიდ საფრთხეს უქმნიან მიგიონებს, ვიდრე მუზმუზელა. ამიტომ, პირველ რიგში, საჭიროა მათი მოშორება.
- (ე) მეცნიერთათვის ცნობილი ყველა მიკროორგანიზმი ზრდის თუკოზიმების კონცენტრაციას ნეოფაგორებში.

ამოცანები 29-32 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში საქართველოს ნაკრების სულ ხუთმა წევრმა – ტლაშაძემ, მახათაძემ, კოკაიამ, ბერიშვილმა და რატიანმა – აიღო მედალი – ოქროს, ვერცხლის ან ბრინჯაოს.

მათ შესახებ ცნობილია შემდეგი ფაქტები:

- თითო ძიუდოისტმა თითო მედალი აიღო.
- ქართველებმა მედლები აიღეს შემდეგ წონით კატეგორიებში: 60კგ, 73კგ, 81კგ, 90კგ, 100კგ.
- ერთმა ძიუდოისტმა მაინც მოიპოვა ოქროს მედალი.
- ვერცხლის მედალი მხოლოდ ერთმა ძიუდოისტმა აიღო.
- 60კგ კატეგორიაში ოქროს მედალი არ აუღიათ.
- 73კგ და 81კგ კატეგორიებში ერთი და იმავე სინჯის მედლები აიღეს.
- კოკაიამ და ბერიშვილმა უფრო მძიმე წონით კატეგორიებში აიღეს მედლები, ვიდრე რატიანმა.
- მახათაძემ მედალი აიღო ტლაშაძეზე უფრო მსუბუქ, ხოლო კოკაიაზე უფრო მძიმე წონით კატეგორიაში.
- მახათაძემაც და მასზე უმუალოდ ერთით უფრო მსუბუქ წონით კატეგორიაში მონაწილემაც ბრინჯაოს მედლები აიღეს.

ამოცანა 29.

ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება ასახავდეს სწორად იმას, თუ რომელ კატეგორიებში და რა სინჯის მედლები აიღეს ძიუდოისტებმა?

(ა)	60კგ	73კგ	81კგ	90კგ	100კგ
	რატიანი	კოკაია	მახათაძე	ტლაშაძე	ბერიშვილი
	ვერცხლი	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო
(ბ)	60კგ	73კგ	81კგ	90კგ	100კგ
	რატიანი	კოკაია	მახათაძე	ტლაშაძე	ბერიშვილი
	ოქრო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ოქრო
(გ)	60კგ	73კგ	81კგ	90კგ	100კგ
	რატიანი	მახათაძე	ბერიშვილი	კოკაია	ტლაშაძე
	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ოქრო	ვერცხლი
(დ)	60კგ	73კგ	81კგ	90კგ	100კგ
	კოკაია	რატიანი	ბერიშვილი	მახათაძე	ტლაშაძე
	ვერცხლი	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ოქრო
(ე)	60კგ	73კგ	81კგ	90კგ	100კგ
	რატიანი	კოკაია	ბერიშვილი	მახათაძე	ტლაშაძე
	ვერცხლი	ბრინჯაო	ბრინჯაო	ბრინჯაო	ოქრო

ამოცანა 30.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) რატიანმა ვერცხლის მედალი აიღო.
- (ბ) ნაკრებმა მოიპოვა ზუსტად ორი ოქროს მედალი.
- (გ) ნაკრების წევრმა 100კგ კატეგორიაში ოქროს მედალი აიღო.
- (დ) ნაკრების წევრმა 90კგ კატეგორიაში ოქროს მედალი აიღო.
- (ე) ნაკრების წევრმა 73კგ კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი აიღო.

ამოცანა 31.

თუ რატიანს ვერცხლის მედალი არ აუღია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) მახათაძემ და კოკაიამ ერთი და იმავე სინჯის მედლები აიღეს.
- (ბ) მახათაძემ და ბერიშვილმა ერთი და იმავე სინჯის მედლები აიღეს.
- (გ) ნაკრების წევრმა 90კგ კატეგორიაში ვერცხლის მედალი აიღო.
- (დ) კოკაიამ 81კგ კატეგორიაში აიღო მედალი.
- (ე) მახათაძემ 90კგ კატეგორიაში აიღო მედალი.

ამოცანა 32.

თუ ნაკრების წევრებმა 90კგ და 100კგ კატეგორიებში ერთი და იმავე სინჯის მედლები აიღეს, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჭეშმარიტი?

- (ა) კოკაიამ 81კგ კატეგორიაში აიღო მედალი.
- (ბ) ბერიშვილმა 100კგ კატეგორიაში აიღო მედალი.
- (გ) ბერიშვილმა უფრო მსუბუქ წონით კატეგორიაში აიღო მედალი, ვიდრე მახათაძემ.
- (დ) რატიანმა ბრინჯაოს მედალი აიღო.
- (ე) ოქროს მედალი ნაკრების მხოლოდ ერთმა წევრმა აიღო.

ამოცანები 33-35 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

ერთმანეთის ტოლი, ურთიერთარაგადამფარავი კვადრატული უჯრებისგან შედგენილია ფიგურები. ერთმანეთის მეზობელი ვუწოდოთ ისეთ უჯრებს, რომლებსაც ერთი წერტილი მაინც აქვთ საერთო.

ფიგურებს ეტაპობრივად ღებავენ. ყოველი დღის განმავლობაში უჯრები იღებება მხოლოდ შემდეგი წესების მიხედვით:

- წესი 1. თუ უჯრა წინა დღის ბოლოს შეუღებავი იყო და ერთი მაინც წითელი და ერთი მაინც ყვითელი ფერის მეზობელი „ჰყავდა“, მაშინ ეს უჯრა იღებება მწვანედ.
- წესი 2. თუ უჯრა წინა დღის ბოლოს შეუღებავი იყო და ერთადერთი შეღებილი, თანაც მწვანე მეზობელი „ჰყავდა“, მაშინ ეს უჯრა იღებება წითლად.
- წესი 3. თუ უჯრა წინა დღის ბოლოს შეუღებავი იყო და ორი მაინც შეღებილი მეზობელი „ჰყავდა“, რომელთაგან ერთი მაინც მწვანე იყო, მაშინ ეს უჯრა იღებება ყვითლად.

ამასთან, თუ უჯრა რომელიმე დღეს რომელიმე წესის მიხედვით შეიძლება შეიღებოს, მაშინ ის ამ დღეს აუცილებლად იღებება, ხოლო თუ ეს უჯრა ერთდროულად რამდენიმე წესის მიხედვით შეიძლება შეიღებოს, მაშინ ის იღებება იმ წესის მიხედვით, რომელიც ამ ჩამონათვალში რიგით უფრო წინაა.

ამოცანა 33.

მოცემულია 12 უჯრისაგან შედგენილი მართკუთხედის ფორმის ფიგურა. შეღებვის პროცესის დაწყებამდე მხოლოდ ორი უჯრა იყო შეღებილი: უჯრა 7-ყვითლად, ხოლო უჯრა 11-წითლად.

ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი?

- (ა) უჯრა 9 და უჯრა 12 ერთსა და იმავე ფრად შეიღებება.
- (ბ) უჯრა 2 და უჯრა 3 ერთსა და იმავე ფრად შეიღებება.
- (გ) უჯრა 5 შეიღებება წითლად.
- (დ) უჯრა 4 შეიღებება ყვითლად.
- (ე) რომელიღაც დღის ბოლოს მხოლოდ უჯრა 1 იქნება შეუღებავი.

1	2	3
4	5	6
7	8	9
10	11	12

ამოცანა 34.

მოცემულია 100 ტოლი უჯრის მქონე კვადრატის ფორმის (10×10) ფიგურა.

ცნობილია, რომ ამ ფიგურაში სამივე ფერის თითო უჯრა მაინც იყო.

მაქსიმუმ რამდენი შეუღებავი უჯრა შეიძლება დარჩეს ამ ფიგურაში შეღებვის პროცესის დასრულების შემდეგ?

(ა) 92

(ბ) 93

(გ) 95

(დ) 96

(ე) 97

ამოცანა 35.

მოცემულია ფიგურა, რომელიც უჯრების ისეთი ერთი ვერტიკალური და ერთი ჰორიზონტალური მწკრივებისაგან შედგება, რომელთაც პირველი უჯრა საერთო აქვს (იხ. ნახაზი). ცნობილია, რომ ერთ-ერთი დღის ბოლოს A, B და C უჯრებიდან არცერთი არ იყო შეღებილი, ხოლო რომელიღაც დღეს მთელ ფიგურაში მხოლოდ A უჯრა შეიღება.

რომელ ფერად შეიძლება შეღებილიყო A უჯრა?

- (ა) მხოლოდ წითლად
- (ბ) მხოლოდ ყვითლად
- (გ) მხოლოდ მწვანედ
- (დ) წითლადაც და მწვანედაც
- (ე) ყვითლადაც და მწვანედაც

A	B								
C									

რადენობრივი მსჯელობა

7 ამოცანა

ამოცანა 36.

ქვემოთ მოცემული ყოველი **უტოლობის** ჩანაწერში თითოეული ასო ყველგან ერთსა და იმავე ციფრს აღნიშნავს; ამასთან, ერთმანეთის უშუალოდ გვერდით მდგომი რამდენიმე ასო ამ ასოების სათანადო ციფრების შესაბამისი მიმდევრობით ჩაწერილ რიცხვს წარმოადგენს.

მოცემულია მართებული უტოლობა:

$$\text{ნია} > \text{ინა}$$

რომელი უტოლობა გამომდინარეობს ამ მოცემულობიდან?

(ა) $\text{აი} > \text{ია}$

(ბ) $\text{ნი} > \text{ნა}$

(გ) $\text{ნა} > \text{ნი}$

(დ) $\text{ან} > \text{ნა}$

(ე) $\text{ნა} > \text{ია}$

ამოცანა 37.

ხუთმა მეგობარმა 20 დავალებისგან შედგენილი ერთი და იგივე ტესტი შეასრულა.

თითოეულ დავალებას სავარაუდო პასუხის ხუთი – (ა), (ბ), (გ), (დ), (ე) – ვარიანტი ახლდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო სწორი.

ერთმა მეგობარმა ყველა დავალებაში მონიშნა პასუხის (ა) ვარიანტი, მეორემ – (ბ), მესამემ – (გ), მეოთხემ – (დ) და მეხუთემ – (ე).

აღმოჩნდა, რომ სამმა მათგანმა ერთ-ერთზე ორჯერ მეტი სწორი პასუხი მონიშნა, ხოლო მეხუთემ – ერთ-ერთზე სამჯერ მეტი.

რამდენ ამოცანაზე მონიშნა სწორი პასუხი მეხუთემ?

(ა) 3

(ბ) 6

(გ) 9

(დ) 12

(ე) 15

ამოცანა 38.

სფეროს ფორმის ბურთი, რომლის რადიუსი 10 სმ-ის ტოლია, ნებისმიერად მიგორავს სიბრტყეზე. ამ ბურთის ზედაპირზე ერთმანეთის დიამეტრულად მდებარეობს ორი – A და B – წერტილი.

ერთ-ერთ სავარაუდო პასუხში მოცემულია დროის გარკვეულ მომენტში A და B წერტილებიდან გორვის სიბრტყემდე მანძილები. რომელია ეს პასუხი?

- (ა) 1 სმ და 15 სმ
- (ბ) 2 სმ და 16 სმ
- (გ) 3 სმ და 17 სმ
- (დ) 4 სმ და 18 სმ
- (ე) 5 სმ და 19 სმ

ამოცანა 39.

ოთხ გუნდს შორის ჩატარდა მინი ტურნირი ფეხბურთში, რომლის მონაწილე გუნდების ყოველ წყვილს შორის ერთადერთი მატჩი შედგა. ოთხივე გუნდის მიერ დაგროვებული ქულების მთლიანი ჯამი 5-ჯერ მეტი აღმოჩნდა ტურნირის ყველაზე უმცროსი მაყურებლის ასაკზე. რამდენი წლის იყო ეს მაყურებელი?

შენიშვნა: 1) თითოეულ მატჩში მოგებისათვის გუნდს ემატება 3 ქულა, წაგებისათვის – 0 ქულა, ხოლო ფრედ დამთავრების შემთხვევაში ორივე გუნდს თითო ქულა ემატება; 2) მაყურებლის ასაკი მთელი რიცხვით გამოისახება.

(ა) 2

(ბ) 3

(გ) 4

(დ) 5

(ე) 6

ამოცანა 40.

ნახაზზე გამოსახულია კვადრატი და, ასევე, ორი წრეწირი, რომლებიც გარედან ეხება ერთმანეთს. ამასთან, წრეწირების ცენტრების შემაერთებელი მონაკვეთი კვადრატის გვერდს წარმოადგენს.

განვიხილოთ შემდეგი ორი პირობა:

I. ამ წრეწირებით შემოსაზღვრული წრეების ფართობთა ჯამი $13 \cdot \pi$ სმ²-ის ტოლია.

II. წრეწირების სიგრძეთა ჯამი $10 \cdot \pi$ სმ-ის ტოლია.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ კვადრატის შეღებილი ნაწილის ფართობი,


(ა) საკმარისია I პირობა, ხოლო II პირობა არ არის საკმარისი.

(ბ) საკმარისია II პირობა, ხოლო I პირობა არ არის საკმარისი.

(გ) საკმარისია I და II პირობა ერთად, მაგრამ ცალ-ცალკე არცერთი არ არის საკმარისი.

(დ) საკმარისია თითოეული პირობა ცალ-ცალკე.

(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, საჭიროა დამატებითი პირობები.



ამოცანა 41.

მოცემულია მთელი დადებითი n რიცხვის შესახებ გამოთქმული წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ -----, მაშინ -----.“

შემდეგი სამი – (1), (2), (3) – ფრაგმენტიდან:

- (1) n -ის ყველა გამყოფის რაოდენობა კენტიია.
- (2) n რომელიღაც მთელი რიცხვის კუბის ტოლია.
- (3) n რომელიღაც მთელი რიცხვის მეოთხე ხარისხის ტოლია.

შეარჩიეთ ორი და ჩასვით ისინი მოცემული არასრული წინადადების შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

- | | | | | |
|---------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|
| (ა) $(1) \rightarrow (2)$ | (ბ) $(2) \rightarrow (1)$ | (გ) $(1) \rightarrow (3)$ | (დ) $(3) \rightarrow (1)$ | (ე) $(3) \rightarrow (2)$ |
|---------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|---------------------------|

ამოცანა 42.

A და B ქალაქებს შორის, ამ ქალაქების დამაკავშირებელ სწორხაზოვან გზაზე, მდებარეობს ბენზინგასამართი სადგური. A ქალაქიდან B ქალაქისაკენ გავიდა ავტობუსი, რომელიც აღნიშნულ გზაზე სწორხაზოვნად და შეუჩერებლად მოძრაობდა მუდმივი 60კმ/სთ სიჩქარით და გამოსვლიდან 2 საათში ჩავიდა B ქალაქში.

ქვემოთ მოცემული ოთხი – I, II, III, IV – პირობიდან რომელი ორია საკმარისი იმის დასადგენად, თუ რამდენი კილომეტრითაა დაშორებული აღნიშნული ბენზინგასამართი სადგური A ქალაქიდან?

- I. მოძრაობის დაწყებიდან 45 წუთის შემდეგ ავტობუსი დაშორებული იყო ბენზინგასამართი სადგურიდან 50 კმ-ზე ნაკლები მანძილით.
- II. მოძრაობის დაწყებიდან 1 საათის შემდეგ ავტობუსი დაშორებული იყო ბენზინგასამართი სადგურიდან 30 კმ-ის ტოლი მანძილით.
- III. მოძრაობის დაწყებიდან 1 სთ-ისა და 15 წუთის შემდეგ ავტობუსი დაშორებული იყო ბენზინგასამართი სადგურიდან 10 კმ-ზე მეტი მანძილით.
- IV. მოძრაობის დაწყებიდან 1 სთ-ისა და 45 წუთის შემდეგ ავტობუსი დაშორებული იყო ბენზინგასამართი სადგურიდან 70 კმ-ზე ნაკლები მანძილით.

(ა) I და II

(ბ) I და III

(გ) I და IV

(დ) II და III

(ე) II და IV